



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 24 ივნისი, 2021 წელი

დრო: 17:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. ნუგზარ კობხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
6. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
7. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
8. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. საჯარო მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს
2. სამუშაო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ფუნქციონირება

მმართველი კომიტეტის შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ნინო ჩხოზაძემ. მან მონაწილეებს შეხვედრის დღის წესრიგი გააცნო.

ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების თანამშრომლობით და აქტიური ჩართულობით, შემუშავდა საჯარო მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე, რომელშიც საუბარია სახელმწიფო ტყის მიწების რეგისტრაციის უკონტროლო პროცესის შეჩერების აუცილებლობის შესახებ. მიმართვის ტექსტი გაზიარებული საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან, თუმცა დამატებითი განმარტებებისთვის და პრობლემის დასასმელად, შეხვედრაზე, მიმართვის ავტორებმა, რეზო გეთიაშვილმა და ალექო ცქიტიშვილმა, განმარტეს, თუ რა საკანონმდებლო პრობლემებია სახელმწიფო ტყის მიწების უკონტროლო რეგისტრაციისას და რამხელა ზიანს აყენებს აღნიშნული პროცესი როგორც კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, ისე მთელ ქვეყანას, რადგან იკარგება უდიდესი ტურისტული პოტენციალი. ყურადღება გამახვილდა ასევე გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც შეუქცევად სახეს იღებს.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განხილვის შემდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საჯარო მიმართვის ტექსტი გაზიარდება ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებთან და მათ მიეცემათ საშუალება ხელმოწერა დააფიქსირონ დოკუმენტზე, რათა უზრუნველვეყოთ მათი ჩართულობა.

საბჭოს შეხვედრაზე ისაუბრეს სამუშაო ჯგუფების გააქტიურების პროცესზეც. თავმჯდომარის ინიციატივით, მნიშვნელოვანია ჩატარდეს ქვეჯგუფების შეხვედრები. ასევე შესაძლებელია ჯგუფების კოორდინატორების მხირდან, განსახილველ საკითხებად, დაისვას თემები, რომელიც განხილული იქნება არა მხოლოდ ერთ სამუშაო ჯგუფში, არამედ ერთდროულად მოწვეული იქნებიან სხვადასხვა ჯგუფების წევრი ორგანიზაციები.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

